სტარტი 4

2018-2024 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით

ქართულის, მათემატიკის, ბუნების, ხელოვნებისა და მე და საზოგადოების ინტეგრირებული სწავლებისთვის

სულაკაურის გამომცემლობა

ნინო შიუკაშვილი

სარჩევი

1. ეროგული მეგობარი
   ნაწილი I 5
   ნაწილი II 11

2. შეხვედრა
   ნაწილი I 16
   ნაწილი II 22

3. დიდგოროს ბრძოლა 30

4. პატარა გმირი
   ნაწილი I 41
   ნაწილი II 48

5. ამბავი კაცისა, რომელმაც ყველა
   სულიერისა და უსულოს ენა იცოდა
   ნაწილი I 57
   ნაწილი II 61

6. სიკეთე გადამდებია 68

7. კავკასიონის ქედის უმაღლესი
   მწვერვალები 79

ეთოგული მეგობარი

ნაწილი I

ახალგაღვიძებულმა მზემ თვალები მოიფშვნიტა და ჯერ კიდევ მძინარე დედამიწას გადმოხედა. ოქროსფერი სხივები ჩამოიშალა და უხვად დააფრქვია არემარეს. მერე ცნობისმოყვარედ შეიჭყიტა ტყეში, შეაფხიზლა ტოროლები, შაშვები, მოლაღურები... – გათენდაო, – ღიმილით უთხრა და ახლა ნაირფერი ყვავილებით მოქარგული მინდვრისკენ გადაიხარა. ტყიდან მოუსვენარი სიო **აედევნა. ახასხასებულ** ბალახზე მარგალიტებად ასხმული ნამის წვეთები ცელქმა სიომ მარცვალ-მარცვალ **მიმოაბნია** მიწაზე. მერე მინდვრებში გაშლილ ყვავილებს სურნელი მოსტაცა და ქვემოთ, სოფლისკენ დაეშვა.

აფუსფუსდნენ ფუტკრები, ჭიანჭველები, ხოჭოები, ჭრიჭინები, კალიები... დიდპატარიანად გამოეფინნენ და მოედვნენ მინდორს...

პატარა მწვანე კალიამაც მოიფშვნიტა თვალები და მრავალძარღვას ფოთლებზე შერჩენილი ნამის წვეთებით პირი მოიბანა. მერე **ბაიას** ფოთლებზე ისკუპა.

აედევნა – უკან გაჰყვა
ახასხასებული – მწვანედ მობიბინე
მიმოაბნია – მიმოფანტა
ბაია – ბაღახოვანი მცენარე

– ფრთხილად, არ გადამაგდო! – საიდანღაც ხმა მოესმა პატარა კალიას.

მიმოიხედა და ძლივს შეამჩნია ფოთლის კიდეზე გაწოლილი მუხლუხი, რომელიც ფოთოლს შეექცეოდა.

– მაპატიე, სულაც არ მინდოდა შენი შეშინება. სიმართლე გითხრა, ვერც კი შეგამჩნიე, ისე უცნაურად გამოიყურები, – ბოდიში მოუხადა კალიამ.

მუხლუხმა ერთი კი წყენით გახედა მას, მაგრამ აღარაფერი უთქვამს, ისევ ფოთლის კვნეტა განაგრძო.

– რა უცნაური ვინმეა! – ჩაილაპარაკა კალიამ და ის იყო, გადახტომა დააპირა, რომ მუხლუხის ხმა გაიგონა:

– არც შენ გეწყინოს. მართლა ძალიან შევშინდი. ჯერ მხოლოდ 1 დღეა, რაც ამ ქვეყანას მოვევლინე.

კალია და მუხლუხი დამეგობრდნენ. ყველას უკვირდა მათი მეგობრობა. კალია ცელქი და მოუსვენარი იყო, მუხლუხი კი – საოცრად **ზანტი**. გამუდმებით კვნეტდა ფოთოლს, **ზლაზვნით** გადაცოცდებოდა ერთი ფოთლიდან მეორეზე, ლაპარაკიც კი ეზარებოდა, მეგობართან თამაშზე რომ აღარაფერი ვთქვათ. რამდენიმე დღეში ისე გასუქდა, ფოთოლი იზნიქებოდა მისი სიმძიმისგან. კალიას **ებრალებოდა** მეგობარი, რომელიც სამყაროს სილამაზეს ვერც კი ამჩნევდა. მთელი დღე დაფუსფუსებდა, აქეთ-იქით დახტოდა, საღამოს კი, სანამ მზე თავის ოქროსფერ სხივებს აკრეფდა, ტყისა და მინდვრის ამბებს უამბობდა. მუხლუხიც გაფაციცებით უსმენდა და ოცნებობდა იმ დროზე, როცა თავადაც შეძლებდა ამ მოქარგულ მინდორში ნავარდს.

ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ ერთ დღესაც მუხლუხი არ **გაუჩინარდა**...

ზანტი – ძალიან ნელი
ზლაზვნა – ნელი, უსიცოცხლო მოძრაობა
ებრალებოდა – ეცოდებოდა
გაუჩინარდა – გაქრა (აღარ გამოჩენილა)



აბგდ ქართული ჭხჯჰ

1. უპასუხე შეკითხვებს.

ა. მონიშნე, დღის რომელი მონაკვეთია აღწერილი პირველ აბზაცში:

☐ დილა ☐ შუადღე ☐ საღამო

ბ. ამავე აბზაციდან ამოიწერე შესაბამისი სიტყვები (ფრაზები):

2. რომელი ფრინველებია ჩამოთვლილი ტექსტში?

3. რომელი მწერებია ჩამოთვლილი ტექსტში?

4. რა გაიცნო კალიამ მინდორში?

5. უპასუხე შეკითხვებს.

ა. როგორ ესაუბრებოდა კალია მუხლუხს?

- [ ] უხეშად
- [ ] თავაზიანად
- [ ] დამცინავად

ბ. ამოიწერე ტექსტიდან შესაბამისი წინადადებები:

6. რატომ უკვირდათ სხვა მწერებს კალიისა და მუხლუხის მეგობრობა?

7. რატომ ებრალებოდა კალიას თავისი მეგობარი?

- [ ] იმიტომ, რომ ახ შეეძლო სიარული.
- [ ] იმიტომ, რომ სამყაროს სიღამაზეს ვერ ამჩნევდა, რადგან შორს წასვლა ახ შეეძლო.
- [ ] იმიტომ, რომ ვერ ხედავდა.

8. რაზე ოცნებობდა მუხლუხი?

_____

_____

9. შენი აზრით, დაუმეგობრდებოდა თუ არა მუხლუხი კალიას, თავაზიანად რომ არ მიემართა მას მუხლუხისთვის? (პასუხი დაასაბუთე)

_____

_____

10. გამუქებული სიტყვები შეცვალე მსგავსი მნიშვნელობის სიტყვებით:

ა. მზეს ტყიდან სიო **აედევნა**.

მზეს ტყიდან სიო _____.

ბ. კალიას **ებრალებოდა** მეგობარი.

კალიას _____ მეგობარი.

გ. ერთ დღეს მუხლუხი **გაუჩინარდა**.

ერთ დღეს მუხლუხი _____.

დ. პეპელა ყვავილებით **მოქარგული** მინდვრისკენ გაფრინდა.

პეპელა ყვავილებით _____ მინდვრისკენ გაფრინდა.

11. მოცემული სიტყვები როგორ შეიძლება ჩავწეროთ სხვაგვარად?

მიმოიხედა _____

მიმოაბნია _____

12. ყველა მწერს ექვსი ფეხი აქვს. გადახაზე ის, რომელიც არ არის მწერი:

პეპელა

ობობა

ფუტკარი

ჭიამაია

÷ 7 – + 3 – **მათემატიკა** – – 1 – 5 = +

13. კალია დღის განმავლობაში 30-ჯერ იკვებება. ის თითო ჯერზე 10 გრამ მწვანე საფარს ანადგურებს. რამდენ გრამ ბალახს ჭამს იგი 1 დღეში?



პასუხი: _____

14. გახაზე მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელიც ამოცანის ამოსახსნელად გჭირდება, ზედმეტი ინფორმაცია კი გადახაზე.

მსოფლიოში უამრავი სახეობის პეპელაა. ევროპაში 360 სახეობაა გავრცელებული, კავკასიაში – 232, ბრიტანეთში – 68, ხოლო საქართველოში, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში – 97 სახეობა. რამდენი სახეობაა გავრცელებული კავკასიის სხვა ნაკრძალებში?



პასუხი: _____

ნაწილი II

შუადღე გადასული იყო, როცა კალიამ მეგობარს მოაკითხა, მაგრამ მუხლუხის კვალსაც ვერსად მიაგნო. დანაღვლიანდა. აღარც ჭრიჭინებთან თამაშობდა, აღარც მინდორში ნავარდობდა...

გავიდა რამდენიმე დღე. ერთ ადრიან დილას კალია ლერწმის მაღალ ღეროზე შემოსკუპდა და არემარეს თვალი გადაავლო იმ იმედით, რომ მეგობარი უთუოდ დაუბრუნდებოდა. უცებ ნაცნობი ხმა გაიგონა.

– ჭიტა! ვერ მიცანი?

თავიდან ეგონა, მომეჩვენაო და ყურადღება არც მიაქცია.

– ვერ მიცანი?– გაუმეორა ნაცნობმა ხმამ.

ხმა ზევიდან მოისმოდა. ეს კიდევ უფრო მეტად ეუცნაურა კალიას. თავი ასწია და მის წინ მოფარფატე საოცრად ლამაზი პეპელა დაინახა.

– მე მეუბნებით? – ჰკითხა მორიდებით.

– ჰო, შენ! მეგონა, გაგიხარდებოდა ჩემი დანახვა.

– კი მაგრამ, ჩვენ ხომ ერთმანეთს არც კი ვიცნობთ? – გაკვირვებისაგან თვალები გაუფართოვდა კალიას.

– ვიცნობთ, ვიცნობთ... იმას რა დამავიწყებს, საღამოობით ტყისა და მინდვრის ამბებს რომ მიამბობდი.

– მე ჩემს მეგობარ მუხლუხს ვუამბობდი, თქვენ კი... – სიტყვა ვეღარ გააგრძელა კალიამ და **აქვითინდა**...

– მე ვარ, მე, შენი მეგობარი მუხლუხი... ჩემი ოცნება ახდა! ყოველთვის ვნატრობდი, ისეთი სასწაული მომხდარიყო, რომ შენი ნაამბობი ჩემი თვალითაც მენახა. ახლა ფრთები მაქვს და მეც შემიძლია **ვინავარდო**.

კალია გაკვირვებისგან ძლივს მოეგო გონს, გადაეხვია მეგობარს და ბედნიერების ცრემლები წამოსცვივდა.

აქვითინდა – ხმით აგზიარდა
ვინავარდო – ღაღად, თავისუფლად ვიფრინო



მას შემდეგ მეგობრები ერთად ნავარდობენ აბიბინებულ მინდორში. კალია ხტის ერთი ყვავილიდან მეორეზე, პეპელა კი თავს დასტრიალებს ერთგულ მეგობარს. მათი კისკისი იქაურობას ახალისებს. ისინი ბედნიერები არიან, რადგან იციან, რომ კარგ მეგობარზე დიდი **საუნჯე** ამქვეყნად არაფერია!

საუნჯე – განძი, სიმდიდრე

აბგდ ႵႠႰႧႳႪႨ ჭხჯჰ

1. რატომ ვერ შეამჩნია კალიამ მუხლუხი?

2. რამ დაადარდიანა კალია?

3. რატომ ვერ იცნო კალიამ დაბრუნებული მეგობარი?

4. ჩამოთვალე თვისებები, რომლებითაც დაახასიათებდი კალიას:



გუნება

5. ***მეტამორფოზი* ბერძნული სიტყვაა და სახეცვლილებას, გარდაქმნას ნიშნავს.**

ა. ტექსტიდან გამომდინარე, რომელ მწერს ახასიათებს მეტამორფოზი?

☐ პეპელას ☐ კაღიას

ბ. დაასაბუთე შენი მოსაზრება.

6. მოცემული ფოტოები დანომრე ისე, რომ თანმიმდევრობით დაალაგო პეპლის განვითარების (**სასიცოცხლო ციკლის**) ეტაპები, შემდეგ კი გააფერადე:



÷ 7 – + 3 – მათემატიკა – – 1 – 5 = +

7. პეპლების სასიცოცხლო ციკლის ეტაპები განსხვავებულია. მაგალითად, პეპელა მონარქის სასიცოცხლო ციკლი ასეთია:

ჭუპრი – 10 დღე

მუხლუხი – 2 კვირა

პეპელა – 6 კვირა

კვერცხი – 4 დღე

შეეცადე, გამოთვალო, სულ რამდენი დღე გრძელდება მონარქის სასიცოცხლო ციკლი?

პასუხი: _____

8. კალიის კვერცხის დადებიდან 2 კვირაში **ნიმფა** (ახალშობილი კალია) იბადება. 3 კვირის შემდეგ მას ფრთები ეზრდება, კიდევ 3 კვირაში კი სხეული ზრდას წყვეტს. გამოთვალე, რა დრო სჭირდება კალიას დაბადებიდან ზრდასრულობამდე. კვირები გამოსახე დღეებით.

პასუხი: _____



მასწავლებლის კომენტარი